მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 37750,0 ათასი ლარით.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 ცვლილება. წლის დასაწყისიდან ბიუჯეტი გაიზარდა 43864,8 ათასი ლარით.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2024 წლის ბიუჯეტი 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 81614,8 ათასი ლარით.

ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიზნების, მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების/ღონისძიებების ერთობლიობას. ანგარიში მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და მასში ასახულია როგორც გეგმიური, ისე ფაქტიური მაჩვენებლები, ასევე მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით), ნაშთის ცვლილების, განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულების შესახებ ინფორმაციას.

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ოზურგეთის მუნიციპლიტეტის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	61,341.40	24,700.30	36,641.10	70,187.60	31,747.30	38,440.30	71,196.35	31,894.47	39,301.88

გადასახადები	31,305.90	-	31,305.90	33,839.50	-	33,839.50	34,462.18	-	34,462.18
გრანტები	25,296.20	24,700.30	595.90	31,766.20	31,747.30	18.90	31,913.39	31,894.47	18.92
სხვა შემოსავლები	4,739.30	-	4,739.30	4,581.90	-	4,581.90	4,820.78	-	4,820.78
ხარჯები	30,696.48	930.66	29,765.82	43,671.87	6,984.49	36,687.38	33,986.23	314.94	33,671.29
შრომის ანაზღაურება	3,957.96	90.78	3,867.18	5,400.00	-	5,400.00	4,978.01	-	4,978.01
საქონელი და მომსახურება	4,305.74	394.74	3,911.00	4,836.93	325.50	4,511.43	3,910.69	-	3,910.69
ძირიტადი კაპიტალის მომსახურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროცენტი	42.00	-	42.00	95.10	-	95.10	22.59	-	22.59
სუბსიდიები	19,112.07	218.45	18,893.62	22,319.10	315.60	22,003.50	22,000.94	288.90	21,712.04
გრანტები	115.00	-	115.00	115.00	-	115.00	115.00	-	115.00
სოციალური უზრუნველყოფა	1,429.93	0.01	1,429.92	1,926.43	114.43	1,812.00	1,682.42	-	1,682.42
სხვა ხარჯები	1,733.78	226.68	1,507.10	8,979.31	6,228.96	2,750.35	1,276.59	26.04	1,250.55
საოპერაციო სალდო	30,644.92	23,769.64	6,875.28	26,515.73	24,762.81	1,752.92	37,210.12	31,579.53	5,630.60
არაფინანსური აქტივების ცვლილება	38,866.90	26,162.35	12,704.55	37,328.02	28,251.87	9,076.15	39,249.17	30,298.93	8,950.24
ზრდა	39,441.40	26,162.35	13,279.05	37,828.02	28,251.87	9,576.15	39,758.39	30,298.93	9,459.46
კლება	574.50	-	574.50	500.00	-	500.00	509.21	-	509.21
მთლიანი სალდო	(8,221.98)	(2,392.71)	(5,829.27)	(10,812.29)	(3,489.06)	(7,323.23)	(2,039.05)	1,280.60	(3,319.65)
ფინანსური აქტივების ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	(114.90)	-	(114.90)	(114.90)	-	(114.90)	(114.94)	-	(114.94)
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
კლება	114.90	-	114.90	114.90	-	114.90	114.94	-	114.94
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2024 წლის გეგმა			2024 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	70,687.60	31,747.30	38,940.30	71,705.56	31,894.47	39,811.10	101.44	100.46	102.24
შემოსავლები	70,187.60	31,747.30	38,440.30	71,196.35	31,894.47	39,301.88	101.44	100.46	102.24
არაფინანსური აქტივების კლება	500.00	-	500.00	509.21	-	509.21	101.84	-	101.84
გადასახდელები	81,499.89	35,236.36	46,263.53	73,744.61	30,613.87	43,130.74	90.48	86.88	93.23
ხარჯები	43,671.87	6,984.49	36,687.38	33,986.23	314.94	33,671.29	77.82	4.51	91.78
არაფინანსური აქტივების ზრდა	37,828.02	28,251.87	9,576.15	39,758.39	30,298.93	9,459.46	105.10	107.25	98.78
ვალდებულებების კლება	114.90	-	114.90	114.94	-	114.94	100.03	-	100.03
ნაშთის ცვლილება	(10,812.29)	(3,489.06)	(7,323.23)	(2,039.05)	1,280.60	(3,319.65)	18.86	(36.70)	45.33

ა) 2024 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 71705,6 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2024 წლის გეგმიური მაჩვენებლის (70687,6 ათ. ლარი) 101,4 %-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 34462,2 ათასი ლარი (შემოსულობების 48,06 %), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე 31913,4 ათასი ლარი (შემოსულობების 44,5 %), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 4820,8 ათასი ლარი (შემოსულობების 6,72 %) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 509,2 ათასი ლარი (შემოსულობების 0,72 %).

#	შემოსულებების დასახელება	თანხა (ათასი ლარი	წილი მთლიან შემოსულობებში
	შემოსულობები	71,705.6	100.0%
1	შემოსავლები	71,196.4	99.3%
1.1	გადასახადები	34,462.2	48.1%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	31,913.4	44.5%
1.3	სხვა შემოსავლები	4,820.8	6.7%
2	არაფინანსური აქტივების კლება	509.2	0.7%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულება:



ბ) შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 70687,6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 71705,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,4 %. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

#	შემოსულებების დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
1	შემოსავლები	70,187.6	71,196.4	1,008.8	101.4
1.1	გადასახადები	33,839.5	34,462.2	622.7	101.8
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	31,766.2	31,913.4	147.2	100.5
1.3	სხვა შემოსავლები	4,581.9	4,820.8	238.9	105.2
2	არაფინანსური აქტივების კლება	500.0	509.2	9.2	101.8
სულ ჯამი		**70,687.6**	**71,705.6**	**1,018.0**	**101.4**





გ) გადასახადები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 34462,18 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 33839,5 ათასი ლარის 101,84 %-ია.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი 8710,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 8752,94 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,49 %-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი 25129,5 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 25709,24 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 102,31%- ია.

დასახელება	2024 წლის გეგმა		2024 წლის ფაქტი		შესრულების პროცენტი
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ

		სახელმწიფ ო ბიუჯეტის ფონდებიდა ნ გამოყოფილ ი ტრანსფერებ ი	საკუთარი შემოსავლებ ი		სახელმწიფ ო ბიუჯეტის ფონდებიდა ნ გამოყოფილ ი ტრანსფერებ ი	საკუთარი შემოსავლებ ი	
გადასახადებ ი	**33,839.50**	**-**	**33,839.50**	**34,462.18**	**-**	**34,462.18**	**101.84**
დღგ	25,129.50	-	25,129.50	25,709.24	-	25,709.24	**102.31**
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	**-**
ქონების გადასახადი	8,710.00	-	8,710.00	8,752.94	-	8,752.94	**100.49**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,710.00	-	6,710.00	6,111.54	-	6,111.54	**91.08**
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	14.37	-	14.37	**14,37**
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	400.00	-	400.00	207.72	-	207.72	**51.93**
სასოფლო სამეურნეო დანიშნულებ ის მიწაზე	800.00	-	800.00	501.47	-	501.47	**62.68**
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებ ის მიწაზე	800.00	-	800.00	1,917.84	-	1,917.84	**239.73**
სხვა გადასახადებ ი ქონებაზე	-	-	-	-	-	-	-
სხვა გადასახადებ ი	-	-	-	-	-	-	-



დ) ფინანსური დახმარება და გრანტები

2024 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 31913,3 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 31766,2 ათას ლარს, რაც გეგმის - 100,46 % შეადგენს.

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები – 18,9 ათასი ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 4099,1 ათასი ლარი ;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 800,0 ათასი ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 13248,8 ათასი ლარი;

ე) სტიქია - 12161,7 ათასი ლარი;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1584,8 ათასი ლარი;

#	დასახელება	თანხა (ათასი ლარი	%-ული წილი
	გრანტები და ფინანსური დახმარება	31,913.3	100.0%
1	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	18.9	0.1%
2	მიზნობრივი ტრანსფერი	4,099.1	12.8%
3	სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	800.0	2.5%

4	სპეციალური ტრანსფერი	12,161.7	38.1%
5	კაპიტალური ტრანსფერი	14,833.6	46.5%



ე) სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2024 წლის საპროგნოზო მოცულობა 4581,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4820,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105,2 %. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში (71705,6 ათასი ლარი) 6,7 %-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავალი პროცენტებიდან - გეგმა შესრულებულია 116,3 %-ით (წლიური გეგმა 285,0 ათ.ლარი, შესრულება 331,5 ათასი ლარი);

რენტა შესრულებულია 99,7 %-ით (წლიური გეგმა 942,9 ათ.ლარი, შესრულება 940,1 ათასი ლარი);

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 84,4 %-ით (წლიური გეგემა 100,0 ათასი ლარი, შესრულება 84,4 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 125 %-ით (გეგმა 250,0 ათასი ლარი, შესრულება 312,4 ათასი ლარი);

მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 134,1 %-ით (გეგმა 250,0 ათასი ლარი შესრულება 402,2 ათასი ლარი);

შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 99,9 %-ით (წლიური გეგმა 2370,0 ათასი ლარი,შესრულება 2367,8 ათასი ლარი);

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 322 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 64,4 ათასი ლარი);

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 97,2 %-ით (წლიური გეგმა 414,0 ათასი ლარი, შესრულება 402,5 ათასი ლარი);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	4,581.9	4,820.9	105.2
შემოსავლები საკუთრებიდან	1,227.9	1,271.6	103.6
პროცენტები	285.0	331.5	116.3
რენტა	942.9	940.1	99.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	842.9	855.7	101.5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100.0	84.4	84.4
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	570.0	779.0	136.7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	550.0	714.6	129.9
სანებართვო მოსაკრებლები	250.0	312.4	125.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	300.0	402.2	134.1
არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	20.0	64.4	322.0
სანქციები, ჯარიმები და საურავები	2,370.0	2,367.8	99.9
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	414.0	402.5	97.2

3) არაფინანსური აქტივების კლება

2024 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 509,2 ათას ლარს შეადგენს, შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში (71705,6 ათასი ლარი) შეადგენს 0,7 %-ს.

არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის და სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	შესრულების %
არაფინანსური აქტივების კლება	**500.00**	**509.2**	**101.84**
ძირითადი აქტივები	50.00	100.1	200.2
არაწარმოებული აქტივები	450.00	409.1	90.31
მიწა	450.00	409.1	90.31

(შემოსავლების აღნიშნულ მუხლში აკუმულირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის და სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალი, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული თანხები. რადგან აღნიშნული შემოსავლების განსაზღვრა წინასწარ ზუსტად ვერ ხერხდება, წელი იგეგმება წინა წლების ფაქტებიდან გამომდინარე).

ზ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 2039,05 ათასი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 2039,05 ათასი ლარი.

თ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 10927,19 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 4555,99 ათასი ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს, ხოლო 6371,2 ათასი ლარი საკუთარ თანხებს. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით არის 8817,7 ათასი ლარი, აქედან 4314,6 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხები, ხოლო 4503,1 ათასი ლარი არის საკუთარი თანხები.

ვალდებულების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 287,4 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი არის 172,5 ათასი ლარი. 2024 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენდა 114,9 ათას ლარს.

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8920	12.1
თავდაცვა	0	0.0
ეკონომიკური საქმიანობა	36353	49.3
გარემოს დაცვა	4320	5.9
ბინათმშენებლობა	3871	5.2
ჯანმრთელობის დაცვა	1186	1.6
დასვენება, კულტურა და რელიგია	7348	10.0
განათლება	10391	14.1
სოციალური დაცვა	1356	1.8



კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**7282**	**9807**	**8920**	**91**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7282	9807	8920	**91**
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7045	9457	8710	**92**
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	236	350	209	**60**
7.2	**თავდაცვა**	**141**	**0**	**0**	**0**
7.21	შეიარაღებული ძალები	141	0	0	**0**
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**36497**	**41647**	**36353**	**87**
7.45	ტრანსპორტი	15960	16623	16395	**99**
7.451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	15960	16623	16395	**99**
7.47	ეკონომიკის სხვა დარგები	9566	5479	4228	**77**
7.49	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	10972	19545	15730	**80**
7.5	**გარემოს დაცვა**	**3922**	**4393**	**4320**	**98**
7.51	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და	3922	4239	4320	**102**

	განადგურება				
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**4075**	**4526**	**3871**	**86**
7.61	ბინათმშენებლობა	766	546	330	**60**
7.63	წყალმომარაგება	1631	2325	2057	**88**
7.64	გარე განათება	1678	1655	1484	**90**
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**1021**	**1335**	**1186**	**89**
7.73	საავადმყოფოების მომსახურება	803	1020	897	**88**
7.74	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	218	316	289	**92**
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**6622**	**7487**	**7348**	**98**
7.81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2781	3081	3072	**100**
7.82	მომსახურება კულტურის სფეროში	3687	4189	4078	**97**
7.84	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	154	218	197	**91**
7.9	**განათლება**	**9366**	**10556**	**10391**	**98**
7.91	სკოლამდელი აღზრდა	7381	8270	8214	**99**
7.92	ზოგადი განათლება	1986	2286	2177	**95**
710	**სოციალური დაცვა**	**1211**	**1549**	**1356**	**88**
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	24	29	29	**100**
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1187	1520	1328	**87**
	სულ	**70138**	**81300**	**73745**	**91**

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 81614,8 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 73859,6 ათასი ლარი წლიური გეგმის 90,5 % -ია.



- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 9034,7 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 9922,1 ათასი ლარი) 91,1 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 40049,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 46052,4 ათასი ლარი) 87 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4319,8 ათასი ლარი წლიური გეგმის (გეგმა 4393 ათასი ლარი) 98,3 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 10390,9 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 10556,3 ათასი ლარი) 98,4 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 7348,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 7487,0 ათასი ლარი) 98,1 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 2542,1 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2884 ათასი ლარი) 88,1 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 174,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 320,0 ათასი ლარი) 54,6 %; **(ახსნა-განმარტება - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებაში დაბალი საპროცენტო მაჩვენებელი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დონორმა ორგანიზაციამ, რომელსაც თანადაფინანსების ფარგლებში უნდა მიეღო მონაწილეობა ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამაში შეაჩერა პროექტი, შესაბამისად თანადაფინანსების თანხის ათვისება ვერ მოხერხდა).**

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 114,9 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %	%-ლი წილი
ხარჯები	43,671.9	33,986.2	77.8	46.0
შრომის ანაზღაურება	5,400.0	4,978.0	92.2	6.7
საქონელი და მომსახურება	4,836.9	3,910.7	80.9	5.3
პროცენტი	95.1	22.6	23.8	0.0
სუბსიდიები	22,319.1	22,000.9	98.6	29.8
სოციალური უზრუნველყოფა	1,926.4	1,682.4	87.3	2.3
სხვა ხარჯები	8,979.3	1,276.6	14.2	1.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	37,828.0	39,758.4	105.1	53.8
ვალდებულებების კლება	114.9	114.9	100.0	0.2
გადასახდელების ჯამი	81,614.8	73,859.5	90.5	100.0

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება - 73859,5 ათასი ლარი).



2024 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა **209398** ლარი.

ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი, თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	სამართლებრივი აქტი	გამოყოფილი თანხა (ლარებში)	ბენეფიციართა რაოდენობა
სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები	ბრძანება	19958	
დახმარების გაწევის მიზნით მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა	ბრძანება	13295	
სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მათ შორის , მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების	ბრძანება	127878	
სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები	ბრძანება	5250	
განათლების ღონისძიებები	ბრძანება	20437	
კულტურის ღონისძიებები	ბრძანება	17500	
სხვა ხარჯები ---(დაბა ურეკში ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით მოწვეულ ოტოპარამედიკოსთა დაბინავება, მომსახურების ხარჯები)	ბრძანება	5080	
სულ		**209398**	533

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება თან ერთვის: (დანართი #1);

კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება (დანართი #2);

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საბალანსო ფორმები (დანართი #3);

მუნიციპალური პროგრამების შესრულების ფორმები ინდიკატორების შესაბამისად (დანართი #4).